ქ. თბილისი

04. 06. 2018 წ.

თსუ რექტორის 2018 წლის 17 აპრილის **N82/01-01** ბრძანების - ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს **N126/2018** 2018 წლის 14 მაისის N 11 სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მანანა კაკაბაძე - მედიცინის დოქტორი, თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მიხეილ ჯანგავაძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მანანა დგებუაძე - მედიცინის დოქტორი (კომისიის მდივანი);
4. ციური სუმბაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;
5. მამუკა ჩხაიძე - თსსუ პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

<u>დღის წესრიგი:</u>

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ეკა ქურდაძის საკონკურსო საბუთების განხილვა და მასთან გასაუბრება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, თინათინ სუპატაშვილის საკონკურსო საბუთების განხილვა და მასთან გასაუბრება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ინგა ბოჭორიშვილის საკონკურსო საბუთების განხილვა და მასთან გასაუბრება;

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის მდივანმა მანანა დგებუაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის კათედრის ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე შემოტანილი ერთი კონკურსანტის – ეკა ქურდაძის და კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ პროფესორის 2

ვაკანტურ თანამდებობაზე შემოტანილი ორი კონკურსანტის – თინათინ სუპატაშვილის და ინგა ბოჭორიშვილის საკონკურსო საბუთები.

კომისიამ დეტალურად განიხილა სამივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შემდეგ სხდომაზე მოიწვია სამივე კონკურსანტი და თითოეულს გაესაუბრა მათი პროფესიული და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

კომისიის ხუთივე წევრმა აღნიშნა, რომ კონკურსანტები თავიანთი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით შეესაბამებიან საკონკურსო თანამდებობებს და მიაჩნიათ ისინი ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 15 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ეკა ქურდაძის, თინათინ სუპატაშვილის და ინგა ბოჭორიშვილის ასსისტენტ პროფესორებად არჩევას:

ეკა ქურდაძე – მომხრე – 5, წინააღმდეგი – 0.

თინათინ სუპატაშვილი – მომხრე – 5, წინააღმდეგი – 0.

ინგა ბოჭორიშვილი – მომხრე – 5, წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. თინათინ სუპატაშვილი არჩეულ იქნას კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ პროფესორად;
3. ინგა ბოჭორიშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ პროფესორად;
4. ეკა ქურდაძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის კათედრის ასისტენტ პროფესორად;

კომისიის წევრების ხელმოწერა

_____

მანანა კაკაბაძე - მედიცინის დოქტორი, თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე);

_____

მიხეილ ჯანგავაძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

_____

მანანა დგებუაძე - მედიცინის დოქტორი (კომისიის მდივანი);

_____

ციური სუმბაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

_____

მამუკა ჩხაიძე - თსსუ პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;